განმცხადებელი : მარიამ ხაბაზი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია
თარიღი : 05-05-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **: "TV25" ნინია მესხიძე - ჟურნალისტი სულხან მესხიძე - საინფორმაციო სამსახურის უფროსი**

სადავო მასალა **: ქობულეთის მერიას უსინათლოები მხედველობიდან გამორჩა** - 04/05/2021
https://tv25.ge/news.php?lang=ge&id=28181

ყურადღების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ქობულეთში. ადგილობრივ ხელისუფლებას ეტლით მოსარგებლეები და უსინათლოები მხედველობიდან რჩება. თან, ამ ადამიანებმა პრობლემაზე საუბარი რომ მოინდომონ, მირიან ქათამაძესთან შესვლასაც ვერ შეძლებენ, რადგან მერიასთან მისასვლელიც კი არაადაპტირებულია. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხალხის ფულს ძირითადად ისე ხარჯავს, რომ ხალხის საჭიროებები არ ახსოვს. უწყებაში პრობლემის სიმწვავეს ვერ ხედავენ, სამაგიეროდ ამაზე ღიად საუბრობენ მცირემხედველები. ნათელი მაგალითი კი როგორც ცენტრალური ქუჩები, ასევე გარეუბნებია. ვერულიძის ქუჩაზე, რამდენიმე თვის წინ დაწყებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე დასრულებულია. გზის ამ მონაკვეთზე გარდა ასფალტის საფარისა, მოეწყო ტროტუარები და დაიგო დეკორატიული ფილები, თუმცა ქობულეთის მერიას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება დაავიწყდა. ტერიტორიაზე, უსინათლოთა ბილიკი არ არის. შესაბამისად, მხედველობის არმქონე პირებისთვის, დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლებელია. ზაურ კახიძის მსგავსად, უსინათლოთა ბილიკების არ არსებობა პრობლემას მალხაზ ზოიძისთვისაც წარმოადგენს, რომელსაც მცირეწლოვანი, მხედველობის არ მქონე შვილი ჰყავს. ოჯახი ქობულეთში, წერეთლის ქუჩაზე ცხოვრობს. მჭიდროდ დასახლებულ უბანში ინფრასტრუქტურა ახალია, თუმცა, შშმ პირებისთვის საჭირო გარემოს ვერც აქ იპოვით. პრობლემა მუნიციპალიტეტში წლებია რომ არსებობს, ამას „უსინათლოთა ხმაშიც“ ამბობენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, საკრებულოს სხდომაზე არაერთი წინადადება დააყენა, თუმცა, რეაგირება მაინც არ მოჰყოლია. ბოლო განცხადება გასულ თვეში გააკეთა. ეს კი მას შემდეგ, რაც მერის მრჩევლად, შშმ პირი, ნინო ნოღაიდელი დაინიშნა. ალექსი წეველიძე იმედოვნებს, რომ ნოღაიდელი ამ კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს. რამდენად გაუმართლდება წეველიძეს მოლოდინები ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ამის თქმის საშუალებას კი ის გვაძლევს, რომ ნინო ნოღაიდელი ქალაქში არსებულ პრობლემას სათანადოდ ვერ აფასებს. პოზიცია, ახლად დანიშნულმა მერის მრჩეველმა, თანამდებობის შემდეგ შეიცვალა. ნოღაიდელი, დღეს იმაში გვარწმუნებდა, რომ ქობულეთში შშმ პირთა საჭიროებები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული და ამ მხრივ, მუნიციპალიტეტს „დასაწუნი“ არაფერი აქვს. შშმ პირების მიმართ ქობულეთის მერიის პოლიტიკას აკრიტიკებენ ოპოზიციაში. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ღიად ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტისთვის, შშმ პირები პრიორიტეტს არ წარმოადგენენ. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ მათი საჭიროებები, მხედველობიდან წინა ხელისუფლებასაც გამორჩა. კაბინეტიდან ჩამოსვლას და ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემას დაგვპირდა, თუმცა, მოგვიანებით სხვა რეალობაში აღმოვჩნდით. პასუხისმგებელმა პირმა, პასუხისმგებლობა აირიდა და კითხვებზე საპასუხოდ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გამოუშვა. ზაზა კაიკაციშვილს ვკითხეთ, რომელი ქუჩაა შშმ პირთა საჭიროებებზე სრულად ადაპტირებული? პასუხის გასაცემად ფიქრი არც დასჭირდა, რადგან მუნიციპალიტეტს ასეთი, მხოლოდ, ერთი ქუჩა აქვს - თამარ მეფის სანაპირო. რაც შეეხება სხვა ქუჩებს, რატომ არ ხდება

ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებისამებრ მოწყობა? ზაზა კაიკაციშვილი უცნაურ მიზეზს ასახელებს. მისი მტკიცებით, ამის საშუალებას რელიეფური მდგომარეობა არ იძლევა. ამაზე მიზეზით ხსნის, ახლად დასრულებული ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობასაც. ქობულეთის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ტყუილში, პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ ამხილა. „ნიუსთაილში“ გვითხრეს, რომ უსინათლოთა ბილიკის მოწყობას სატენდერო პირობები არ ითვალისწინებდა. „მაცნეს“ კითხვებს თავი აარიდეს ქობულეთის საკრებულოს წევრებმა „ქართული ოცნებიდან“. წარმომადგენლობითმა ორგანომ მუნიციპალიტეტის მერიისკენ გადაგვამისამართა. ფაქტი კი ერთია, საკრებულოს დეპუტატები უმრავლესობიდან, ბიუჯეტს ისე ამტკიცებენ, რომ პროექტით არც კი ინტერესდებიან. ამაზე არსებული სურათიც მოწმობს. 9 წლიანი მმართველობის შედეგად, ქობულეთი, დღეს, აჭარის ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც შშმ პირთა საჭირეობები გათვალისწინებული არ არის.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

1 პრინციპი - წამყვანი მტკიცებით ფორმაში აღნიშნავს, რომ მერიას ყურადღების მიღმა რჩება, ამტკიცებს რომ ამ ადამიანებს თუ მერთან საუბარი მოუნდებათ მასთან ვერ მივლენ, რადგან მისასვლელი არ არის ადაპტირებული - განვმარტავთ რომ მერიაში მოწყობილია შესაბამისი სტანდარტის პანდუსი ეტლით მოსარგებლეებისთვის და მირიან ქათამაძეს არაერთი შეხვედრა განუხორციელებია შშმ პირებთან, უსინათლოებთან თუ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეებთან, როგორც მერიაში ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასევე წამყვანი ამტკიცებს, რომ უწყებაში (მერიაში) საკითხის სიმწვავეს ვერ ხედავენ - რესპოდენტის მიერ განმარტებული იყო რომ ისინი ამის საჭიროებას ხედავენ და შესაბამისად ახდენენ პროექტების დაგეგმვას. ჟურნალისტი პირველ წინადადებაში აღნიშნავს " ვერულიძის ქუჩაზე, რამდენიმე თვის წინ დაწყებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე დასრულებულია." - რესპოდენტმა (მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ზაზა კაიკაციშვილი) განუმარტა, რომ სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული და არც პროექტი აქვს მერიას ჯერ-ჯერობით ჩაბარებული. მომდევნო წინადადებაში "გზის ამ მონაკვეთზე გარდა ასფალტის საფარისა, მოეწყო ტროტუარები და დაიგო დეკორატიული ფილები, თუმცა ქობულეთის მერიას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება დაავიწყდა. ტერიტორიაზე, უსინათლოთა ბილიკი არ არის."- ზაზა კაიკაციშვილის განმარტებით უსინათლოთა ბილიკი კი არ დაავიწყდათ, ვიწრო ტოტუარის გამო უსინათლოთა ბილიკის მოწყობა ვერ მოხდა. "რაც შეეხება სხვა ქუჩებს, რატომ არ ხდება ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებისამებრ მოწყობა? ზაზა კაიკაციშვილი უცნაურ მიზეზს ასახელებს. მისი მტკიცებით, ამის საშუალებას რელიეფური მდგომარეობა არ იძლევა. ამაზე მიზეზით ხსნის, ახლად დასრულებული ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობასაც." - აღნიშნულ აბზაცში დასმულ კითხვასთან დაკავშირებით , რესპოდენტმა ისევ გარკვევის განმარტა, რომ თამარ მეფის სანაპირო სრულად არის ადაპტირებულია, ასევე რუსთველის ქუჩა და რამდენიმე ახლად გაკეთებული ინფრასტრუქტურული მონაკვეთები. "ქობულეთის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ტყუილში, პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ ამხილა. „ნიუსთაილში“ გვითხრეს, რომ უსინათლოთა ბილიკის მოწყობას სატენდერო პირობები არ ითვალისწინებდა." - აღნიშნულ აბზაცში მოყვანილი ინფორმაცია სრულად წარმოადგენს სიცრუეს. რესპოდენტის მიერ არ დასახელებულა ვერულიძის ქუჩაზე უსინათლოთა ბილიკის არასებობის მიზეზად მშენებელი კომპანია. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ვიწრო ტროტუარის გამო უსინათლოთა ბილიკის მოწყობა ვერ მოხდა. რითაც მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტმა მოიტყუა როგორც მშენებელი კომპანიის მიმართ, ასევე ტყუილში დაადანაშაულა რესპოდენტი და მოსახლეობა სიცრუეში შეიყვანა. და ბოლოს, კიდევ ერთი უზუსტობა " 9 წლიანი მმართველობის შედეგად, ქობულეთი, დღეს, აჭარის ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც შშმ პირთა საჭირეობები გათვალისწინებული არ არის" - ჟურნალისტი აღნიშნული ციტატით, დასკვნას მტკიცებით ფორმაში აღნიშნავს. თუმცა რომელი კვლევის, ან ორგანიზაციის მიერ მოხდა აღნიშნული დასკვნის გაკეთება არ ასახელებს. - მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია არის მცდარი და მიზნად ისახავს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. ბოლოს მინდა აღვნიშნო,

რომ აღნიშნული ინტერვიუს ხმოვანი ვერსია, ჩანაწერის სახით გამაჩნია და საჭიროების შემთხვევაში შემიძლია სრულად მოგაწოდოთ.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები